№ 83. 18 აპრილი, ოთხშაბათი. 1866—1884 18 აპრილი, ოთხშაბათი. № 83.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შემოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

პეტრე იოსების ძე უმიკაშვილი და ეკატერინე სტეფანეს ასული, ქაკალოვი გულითადის მწუხარებით აცნობებენ ნათესავთა და მცნობთა გარდაცვალებასა პირველის მშობლისასა და მეორის დისას ბარბარე სტეფანეს ასულის უმიკაშვილისასა და მოიწვევენ მიცვალებულის გამოსვენებაზე ხუთშაბათს აპრილის 19-ს 10 საათზე არდაზიანის სახლითგან, ანჩისხატის პირდაპირ, ძველ კათოლიკეთ ეკლესიაში.

## არწრუნის თეატრი

ხუთშაბათს 20 აპრილს,

ქართული დრამატიული დასის არტისტები ნ. მ. გაბუნია, მ. მ. საფაროვისა, ვ. აბაშიძე, ა. მესხიევი, ა. ცაგარელი და სცენის მოყვარენი კნეინა ე. წერეთლისა, ი. მრევლიშვილი და სხვანი გამართავენ წარმოდგენას

**ხანუმა**

კომედია 3 მოქმედებად და 4 სურათად თხზულება ა. ცაგარლისა.

**ოინბაზი**

ხუმრობა ვოდევილი 1 მოქმედებად.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი 8 საათზედ. (4—2)

## სუდანი და ინგლისი

თბილისი, 18 აპრილს.

სასაცილო და თან სამწუხარო მდგომარეობაშია ჩავარდნილი ყოვლად-ძლიერი ინგლისი. უნდა რომ მიანებოს თავი სუდანს, რომელსაც აჯანყება ცეცხლსავით მოსდებია და სადაც მახდის მომხრენი ერთ წამს მოსვენებას არ აძლევენ ბედკრულ ინგლისის გარნიზონებს,—უნდა, მაგრამ თავის მინებებაც კი ვეღარ მოუხერხებია, ინგლისური ამპარტავნება არ აძლევს ნებას სუდანიდამ დამარცხებული გამოვიდეს და გამოსვლისათვის კი საჭიროა უმეტესი გამჭრიახობა, უმეტესი ერთობა მოქმედებაში, ვიდრე ეს ეხლანდელს ინგლისის მმართებლობას ეტყობა.

ინგლისს უნდა, რომ მარტო მეწამული ზღვის ნაპირები დაიტოვოს თავის მფარველობის ქვეშ, რადგან უამისოდ ინდოეთისკენ გზა, სუეცის არხზე მუდამ საშიშროებაში იქნება და გარემოებამ კი იძულებული გახადა შიგ შუა-გულ სუდანში, მხურვალე ქვიშიან უდაბნოებში, გაეგზავნა საუკეთესო თავისი გენერალი თითქმის უჯაროდ და უიარაღოდ. ეს გენერალი—გამოჩენილი გორდონი—ზის ეხლა ხართუმში: ურიცხვ მტრებისაგან გარს შემოხვეული და თითქმის ყოველ გვარ კავშირ-მოსპობილი განათლებულ ქვეყნებთან.

იმის გასაცნობად, თუ როგორ დაუხედავად მოქმედობს ინგლისის მმართებლობა და როგორ არა ჰზოგავს სასიკვდილოდ თვით საუკეთესო თავის წარმომადგენელთაც, საჭიროა გადავათვალიეროთ უკანასკნელი კაიროდამ მოსული ტელეგრამები და ორის სიტყვით მოვიხსენიოთ ხართუმის მდებარეობა, სადაც ეხლა გორდონია მომწყვდეული.

ხართუმი სძევს მდინარე ნილოსისზედ, არის შუა-გული მთელის სუდანისა და იმას იქით იწყება ცხელი, უნაყოფო და ქვიშიანი უდაბნოები ეკვატორის ახლო მდებარე ქვეყნებისა. ხართუმს სამხრეთით ეკვატორამდე თითქმის აღარც ერთი ქალაქი აღარ არის, სადაც ევროპიელნი მუდმივ მოსახლობდენ და განათლების კვალი ეტყობოდეს. ხართუმის ერთად-ერთი შემაერთებელი ეგვიპტესთან და სხვა განათლებულ ქვეყნებთან არის მდინარე ნილოსი, რომელიც [illegible] და აპოხიერებს ამ უნაყოფო ქვეყნებს.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ ამ ველურ ხალხთა შორის ხართუმში მომწყვდეულია გენერალი გორდონი და თან ევროპიელებისაგან შემდგარი ჯარი თითქმის სრულებით არა ჰყავს: ინგლისი დაიმედებული იყო, რომ მარტო გორდონის გავლენა, რომელიც მართლა რომ ძლიერია—საკმარისია ამ ქვეყნების დასამშვიდებლადაო, მაგრამ რას იზამდა მარტო მისი გავლენა, როდესაც გორდონს მეტოქეთა ჰყავნდა სუდანელებისაგან წინასწარმეტყველად აღიარებული მახდი და გარშემო ეხვია სრულიად სხვა ტომის, სხვა რჯულის და სხვა კულტურის ხალხი. უეჭველია, გორდონს ბევრი შეეძლო, თუ რომ ინგლისი თავის დროზედ მიშველებოდა და გორდონის სახელი შესაფერი ძალითაც შეემკო; მაგრამ ინგლისი ასე არ მოიქცა და ამით დაამცირა გორდონის სახელი სუდანელების თვალში, რომელთაგან მრავალნი არ არიან ბრმა მომხრენი მახდისა და იმის მხარეს დაიჭერენ, რომელიც უფრო მეტს გაბედულობასა და ძლიერებას გამოიჩენს.

ახლა ისიც მოისმინეთ, რას მოგვითხრობენ უკანასკნელი ტელეგრამები: [illegible] კიდევ ძლიერდება; ბერბერის გზა ნილოსითაც

---

## «დროების» ფელეტონი 18 აპრილი.

### ანჩის-ხატის ეკლესია.

ბევრს, ძალიან ბევრს ქართველს სხვადასხვა მიზეზების გამო აქამდის ვერ მოუხდებოდა ანჩის-ხატის ნახვა და მისი დათვალიერება. ბევრი იმისთანაც მოიძებნება, რომ ეკლესია ენახოს, დაეთვალიერებინოს, მაგრამ მაინც არ იცოდეს ამ ტაძრის წარსული, აწმყო, უკეთ ვსთქვათ, არ იცოდეს მისი ისტორია. ამ მიზეზისაგამო ურიგო არ იქნება აქ მოვიყვანოთ რამდენიმე ცნობანი ამ ეკლესიაზე, რომელსაც დიდად პატივს სცემენ თბილისელი ქართველები და სოფლელებიც კი, რომელნიც დღეობაზე (აღდგომის მეორე დღეს და 15 მარიამობისთვეს*) ურმებით ჩამოდიან ღამის სათევად.

ეს ეკლესია მარიამ-ღვთის შობის პატივის საცემლად (სახსოვრად) საქართველოს კათალიკოზმა ბაბილემ ააშენა მეფე ადარნასეს დროს (613—639 წ.). იგი თუმცა იყო მეტოქე კათალიკოსებისა, მაგრამ ესენი აქ არა სცხოვრობდენ, არამედ მცხეთაში. მრავალჯერ ტაძარი განძვინებულთა ჩვენთა მტერთა თბილისთან ერთად აიკლეს.

აოხრეს. მხოლოდ მე-XII საუკ. კათალიკოსმა დომენტიმ აღადგინა მასში წირვა-ლოცვა და შიგ დაასვენა ანჩისხატი. ამ ხატის ისტორიას მოვიყვანთ ქვემოთ, აქ კი ჯერ აღვწერთ თვით ტაძარს.

ეკლესიაში ოთხი ქვის სქელი სვეტია, რომლებზედაც დამყარებულია ეკლესიის თაღი. დასავლეთის მხრით კათალიკოსის დომენტის მეფის ძის ხოსროს-ძისაგან აგებულია სამრეკლო, რომელზედაც შემდეგი წარწერაა:

«ჩვენ ქრისტეს მიერ კურთხეულმან ბატონის-შვილმან დომენტი აღვაშენე სამრეკლო ესე და განვაახლე საყდარი ესე სულისა ჩემისა საოხად მეფობასა ქართლისა შანავაზისასა*), ქორონიკონსა ტნგ.» სამრეკლოზე არის ზარი შემდეგის დაუთავებელის წარწერით:

«ეს აზრი ბულდან ბეგმა ამილახვარის შვილმან ბატონს კათალიკოზს დომენტის და კათალიკოზმა ქალაქს ღვთის მშო...»

ეკლესიის ეზოში, სამხრეთის მხრით, თბილისის დარბევამდის (1795 წ.) იყო კათოლიკოზის ამალის სადგური. აქვე იყო სახლი მაღალაშვილისა, რომელიც კათალიკოზის სახლთ-ხუცესი იყო.

ყველაზე შესანიშნავი ამ ეკლესიაში არის ზემოდ ხსენებული ანჩის ხატი, რომლისაგან ამ ეკლესიას (ზარის ეკლესიად ცნობილს) დაერქვა ანჩის-ხატი.

ხატის სიგძე არის არშინ-ნახევარი, სიგანე ერთი არშინი. ზედ გამოსახულია პირი ღვთისა (ქრისტესი), რომელსაც მარცხენა ხელში უჭირავს სახარება და მარჯვენით კი აკურთხებს

(ერს). ჩაცმულია ვერცხლ-მოოქრულის სამოსელით, რომელშიაც ჩარჭმულია მრავალი ძვირ-ფასი თვლები. ზოგი ერთი თვალის ადგილი ცალიერია—დაკარგულან. ხატი ჩასვენებულია ოქრო-ვერცხლით დაფერილ კუბოში, რომელიც იკეტება ორი კარებით. მარცხენა კარის ქვემო მხარეს გამოხატულია: ხარება, შობა, მოგვთა თაყვანის-ცემა და ნათლის-ღება. ამ კარზე ხუცურად სწერია:

«სულსა პატრონისა მანდატურთ-უხუცესისა ბექისასა*) განუსვენე ღმერთო».

მეორე კარზე გამოხატულია: ფერის-ცვალება, ჯვარ-ცმა, აღდგომა ზედ წარწერით:

„სულსა პატრონისა მანდატურთ-უხუცესისა და მეუღლისა მისისა მარინესსა ანუსვენოს ღმერთმან“.

ქრისტეს გამოსახულობა შემდეგია: იგი ფეხებით ატკრევს საფლავის და ჯოჯოხეთს კრებსა და იქიდგან გამოჰყავს ადამ და ევა. ქრისტეს მარჯვენით სდგას იოანე ნათლის-მცემელი და მარცხნით ღვთის-მშობელი. საფლავის გარშემო მოდარაჯენი არიან და მის კარებზე კი ბეჭედი. სულ მალ-

---

*) აღდგომის მეორე დღეს საკუთარად ხატის დღეობაა და 15 მარიამობისთვეს კი ღვთის-მშობლისა.

*) შანავაზი ანუ შაჰ-ნავაზი დაერქვა გამაჰმადიანებულს ვახტანგს. ეს იყო მუხრანის ბატონის თეიმურაზის-ძე. როდესაც გათათრებული როსტომ I ანუ ხოსრო მირზა (რომელმაც ჩანებული მახვილობა გადუხადა ცნობილს მოგზაურს შარდენს—Chardin-და გააკვირვა იგი თავის სიმდიდრე-სიუხვით) მოხუცებულებისაგან დაუძლურდა და თვის გვარეულობაში მოადგილე აღარ გამოუჩნდა, მაშინ თავისავე სიცოცხლეში ქართლის მმართველად დანიშნა (1657 წ.) ვახტანგი, რომელიც საქართველოს ტახტზე ადგილა როსტომის სიკვდილის შემდეგ (1658 წ.). ვახტანგი იყო უშიშარი, შორს მხედველი, გამბედავი. თუმცა მაჰმადიანი იყო, მაგრამ დაუღალავად შრომობდა მამულის და ეკლესიის წარმატებისათვის. მან ააშენა მრავალი ქალაქები: თრიალეთი, ტაშირი, აგოცი და სხ. საქართველოს კათალიკოსობა უბოძა თავის ნათესავს დომენტი II-ს, რომელმაც ააგო მრავალი ეკლესიები, მონასტრები და ხალხის წაბილწული ზნეობა განწმინდა.

*) მანდატურთ (mandator) უხუცესი ბექა ოპიზარი იქმნა მანგლისთ წინაძღვრად რომელსაც 1221 წელს. (იხ. პ. იოს. „Древности Тифлиса, გვ. 7 შენიშვნა.)

კი შეკრულია; აჯანყებულები თვითონ ქალაქს უპირობენ თავ-დასხმას; ბერბერის გუბერნატორი თხოულობს ინგლისის ჯარების დახმარებას». მეორე ტელეგრამა: «ცუდი ამბები მოდის აჯანყების ადგილიდგან; შენდიდგან ბერბერში გაქცეულ ქარავანს აჯანყებულები გზაში დასწევიან და სულ ერთიანად ამოუჟლეტიათ; ბერბერის მცხოვრებლები გაბრაზებულნი არიან; ჰფიქრობენ, რომ ამ დღეებში მტერი სრულიად შემოხლუდავს ქალაქს. მესამე ტელეგრამა: «შენდიდგან მიმავალი ცეცხლის გემი, რომელზედაც 300 გაქცეული მცხოვრები იჯდა, ნილოსზე დაიღუპა; მგზავრნი და ეკიპაჟი სულ ერთიანად გასწყვიტეს აჯანყებულებმა».

და აი, როდესაც წათამამებული აჯანყებულები მთელს იმ მხარეს მოსდებიან, როდესაც გორდონი ითხოვს აუცილებელ შემწეობას, და გაუგზავნელობისათვის იმდურება და იმუქრება, რომ „მიუსპობ ყოველსავე კავშირს იმათთან, ვინც დამტოვა ასე შეუწევნელად და ვინც არის მიზეზი სუდანში სისხლის ღვრისაო“; როდესაც «ეგვიპტის სამინისტროს პრეზიდენტს ნუბარ-ფაშას გადაუწყვეტია სამსახურიდგან გამოსვლა, თუ ბერბერს მალე არ მიეშველებიან» და მით არ განათავისუფლებენ ამ ერთად-ერთ გზას ხართუმთან; —ამ დროს „გლადსტონი აცხადებს საზოგადოებათა პალატაში, რომ“ ბერბერი მართლა საშიშროებაშია, მაგრამ გორდონს არა უჭირს-რაო. მთავრობა გრძნობს, რა მოვალეობაც აწევს გორდონის შესახებ და როცა საჭირო იქნება ამ მოვალეობას შეასრულებსო“.

ახლა დაუმატეთ ამ უკანასკნელს თითქო ირონიით წარმოთქმულს სიტყვებს ეს ცნობაც: «ინგლისის მმართებლობამ აუწყა ეგვიპტისას, რომ ბერბერში ექსპედიციის გაგზავნა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ოთხის თვის შემდეგ».

«ოთხის თვის შემდეგ!», როდესაც შველა საჭიროა ეხლავე, რაც შეიძლება საჩქაროდ, —ამაზედ მეტად აბუჩად აგდება ომის წესებისაც და მართლა რომ საბრალო გორდონისაც ყოვლად შეუძლებელია.

«ტაიმსის» კორესპონდენტი აუწყებს ამ გაზეთს ცოტა მოგვიანებულად კი უგზოობის გამო, თუ რა მდგომარეობაშია ეხლა ხართუმი და მასში მომწყვდეული გარნიზონი. იგი სწერს: ეხლა ხართუმი ჰგავს ცენტრს მტერთა ბანაკისას. ქალაქიდამ ყოველს მხარეს მოჩანან აჯანყებულების კარვები. მათი ტყვიები ზუზუნებენ ჩვენს თავებზედ და გენერალ-გუბერნატორის სასახლეში ერთმა ამ ტყვიათაგანმა მოჰკლა მოყარაულე სალდათი. ჩვენი მდგომარეობა მეტის-მეტად საშიშია. ერთი საშუალება-ღა დაგვრჩენია—ეკვატორის მხარეს გავიკვლიოთ გზა, მაგრამ ესეც ძალიან საძნელო და საშიშარია. ამას წინად არაბებში გავრცელდა ხმა, რომ სუაკიმში გამარჯვებული ინგლისელები მოდიან გორდონის მოსაშველებლადაო და ამ ხმამ შეაფიქრიანა არაბები; ხართუმიდამაც გასცლა დააპირეს; მაგრამ რაკი მასუკან შეიტყეს, რომ ინგლისელები არამცთუ არ მოდიან ხართუმისკენ, არამედ სუაკიმსაც თავს ანებებენ, —იგინი ერთი-ორად უფრო წათამამდენ და უკან-დაწეულებიც უფრო მჭიდროდ შემოერტყნენ ხართუმს.

ეს უკანასკნელი ამბავი ცხადად ამტკიცებს, თუ რა შეეძლო ინგლისს, თუ კი, როგორც წელანა ვთქვით, მეტს გამჭრიახობასა, მეტს ერთობას გამოიჩენდა მოქმედებაში.

## შინაური ქრონიკა

— აი კიდევ ზოგიერთა სამწუხარო ცნობები შესახებ თ. გიგო ავალიშვილისა. ბიძაშვილებს ერთმანეთში რაღაც უბრალო საგანზედ უსიამოვნო ლაპარაკი მოსვლიათ. როდესაც ყაფლ. ავალიშვილს ხანჯალი დაუცია გიგოსათვის, ამ უკანასკნელს დედა გადაჰფარებია და მკვლელს დედაც დაუჭრია. დედასა და ძმას მიჰშველებია თურმე უმცროსი ძმა, მაგრამ ამ უკანასკნელსაც დედის ხვედრი სწევევია და ამ გვარად რაღაც უბრალო შემთხვევას კინაღამ სამი მსხვერპლი ერთად შეუწირვინებია.

— ამ ორი კვირის წინად დაჭრილი თ. ი. მუხრან-ბატონი ეხლა თურმე თითქმის სრულებით კარგად არის და ქვეშაგებიდამაც ამდგარა.

— ბ. სოსიკო მაჭავარიანი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მისგან არ არის გამოგზავნილი ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი კორესპონდენციები ალაზანგაღმა ყივანა ხვედის გავრცელების თაობაზედ. ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ არა თუ ეს კორესპონდენციები, არც ერთი წერილი კახეთიდამ სოსიკო მაჭავარიანს არ ეკუთვნის.

— მმართებლობას საჭიროდ დაუნახავს, რომ შავს ზღვაზედ ნავოსნობის გავრცელებისათვის მალე შეუდგეს ოდესის, ბათუმის და სევასტოპოლის ნავთსადგურების შეკეთებას და შესწორებასა. ამ აზრით შეუდგენიათ კიდეც პროექტი, ალურიცხავთ ამ საქმისათვის საჭიროდ 22 მილიონი მანათი და ვადა ოთხი წელიწადი დაუნიშნავთ. ამ სახით წელიწადში მოუნდება ხუთ მილიონ ნახევარი და მთელი ეს საქმე უნდა შესრულდეს 1889 წელს.

— ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისის მოედნებზე წელს გაცილებით ნაკლებ შემოდის გასასყიდი ახალი ყველი. მიზეზი არის ისა, რომ წლევანდელმა ზამთარმა ძალიან დაახიანა ჩვენი ქვეყნის ცხვარი. ამიტომაც, შარშან თუ ახალს ყველს იყიდდით ფუთს 2 მანათად, წელს აძლევთ 5 და 6 მანათს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ რაც კი ყველი მოდის ტფილისში, მომეტებულ ნაწილად უვარდებათ ხელში აქაურს ჩარჩებს, რომელნიც მერე ერთი-ორად

---

ლა გამოსახულია [illegible] ქვემოთ წარწერაა:

„ძენი მათნი მანდატურთ-უხუცესნი: სარგის, ყვარყვარე და შალვა ადიდნეს ღმერთმან“.

ხატის ბოლოში ვკითხულობთ:

«ბძანებითა და ნივთის ბოძებითა ღვთივ-გვირგვინოსანის დიდისა დედოფლისა თამარისათა, მე იოანე ანჩელმან რკინაელმან ხელ-ვჰყავ საშინელისა ამის ხატისა პატივითა მოჭედად. მფარველ მცველ არს მეფობისა მათისა აქა და საუკუნესა. მოიჭედა ხელითა ბექასითა ქრისტე შეიწყალე“.

თვით ხატის ბუდის უკან ძველი წარწერაა, რომელიც მოკლედ მოგვითხრობს მთელს ისტორიას ხატისას. ამიტომ მასაც წავიკითხავთ:

«ადიდენ ღმერთმან კათოლიკოზი პატრიარქი; რომელმან განაახლა ხატი ხელით უქმნელი; პირველ ქესიდგან კოსტანტინოპოლეს წარმოესვენებინათ და ოდეს ლეო ისავრო და სხვანი ხატთ-მბრძოლნი გამოჩნდენ მას ჟამსა მუნიდგან წარმოესვენათ და დაესვენათ კლარჯეთს, საეპისკოპოსოსა საყდარსა ანჩისასა.*) ბძანებითა და ნივთითა მეფეთ-მეფის თამარისათა, იოანე ანჩელს პატიოსნად მოეჭედა და ოდეს გათათრდა სამცხე, მაშინ აღსრულ იყო ტფილისის ვაჭარი და ეყიდნა ფასითა და მოეხსენებინა ბიძისა ჩვენისა კათოლიკოზ პატრიარქის დომენტისათვის და მას ძვირფასად ეყიდნა და დაესვენა ტფილისის საკათალიკოზოსა მეფობასა პაპისა ჩვენისა მეფის ვახტანგისასა. მას აქეთ დიდად დაძველებულიყო ხე და მოჭედილობა. ჩვენ მეფეთ შარავანდედმან, ყოვლისა საქართველოსა პატრიარქმან დომენტი კვალად განვაახლეთ და მოვჭედეთ გული და კუბო და შევმატე თვალი და მარგალიტი. ქრისტე ღმერთო, შემინდევ ყოველნი ტოდვანი ჩემნი, სატანჯველისა და ყოველთა მტერთა, ხილულთა და უხილავთაგან მიხსენ და შემრაცხე მარჯვენით შენსა და დაიცევ მეფე მეფეთა საქართველოს ბაგრატოვანი ვახტანგ და მეუღლე მათი დედოფალი რუსუდან, ბაქარ, გიორგი და ასულნი მათნი ყოველნივე იხსენ განსაცდელისაგან. ამინ. ქორონიკონს ტოგ კვალად განახლებულ იქმნა სიძველისაგამო კუბო ესე მაცხოვრისა ჩუგგ წ. (1823) ქორონიკონს ფიგ».

ამ წარწერის ასახსნელად ჩვენ მოვიყვანთ შემდეგს ცნობებს. ნამდვილი არის, რომ ლეო (ლევ) ისავროს დროს (714—741 წ.) საშინელი დევნა იყო ხატთა და მათთა მსახურთა. ხატი მაცხოვრისა, რომელზედაც პირველი ცნობები დაგვიტოვა ეპისკოპოზმა კესარიისამ, ედესიდგან წაასვენეს კოსტანტინეპოლს. ჰფიქრობენო, ამბობს პ. იოსელიანი, რომ აქედგან მაცხოვრის ხატი წაიღეს რომშიო და იქვე დარჩაო. ამ ხატის შედეგი ეკლესიურმა ისტორიამ არ იცისო. განა ანჩის ხატი მაცხოვრისა სწორედ ის ხატი არ არისო (დასძენს იგივე მწერალი), რომელიც ლეო ისავროს დროს საბერძნეთიდგან გადმოიტანეს ანჩაშიო? და მართლაც მივიღებთ რა მხედველობაში იმ გარემოებას, 1) რომ ხატთ-დევნისაგან ყველა ხატები მიყრუებულ და შორეულ ადგილებში მიჰქონდათ, 2) რომ ანჩის-ხატიც სწორედ იმ დროს მოუტანიათ ანჩაში, რა დროსაც ყველაზე ძლიერი დევნა იყო წმიდა ხატებისა და რომ ჩვენს ანჩის-ხატზე რაღაც წაშლილი ბერძნული წარწერა ეხლაც არსებობს, —ყველა ამის შემდეგ არ შეგვიძლიან არ ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ კლარჯეთს წამოსვენებული და ანჩას დასვენებული ხატი მაცხოვრისა ის ხატია, რომელიც ეხლა ასვენია ტფილისის ანჩის-ხატის (წინად ზარის) ეკლესიაში. რა მიზეზით და როგორ მოჰხდა, რომ კლარჯეთის სამწყსოს კუთვნილობა ეხლა შეადგენს ტფილისის მართლ-მადიდებელთ სათაყვანის საცემლოს? ამ კითხვას ჰხსნის გუჯარი, შენახული ტფილისის სინოდის კანტორაში.

*) „ჭოროხის დასავლეთით ისპირის მთის კალთას არს ეკლესია ანჩა, გუმბათიანი, დიდ-მშვენიერნაგები, კარგს ადგილს; იჯდა ეპისკოპოსი—მწყემსი ლიგანის ხევისა გაღმა მდინარითისა გონიამდე, თორტნის ხევის და აჭარისა; აწ ცალიერა არს“ აგვიწერს ანჩას ვახუშტი (იხ. გვ 110 გ.).

ბ. ყაზბეგი, რომელმაც იმოგზაურა ლაზისთან-აჭარაში 1874 წ., ამბობს, რომ ვახუშტი სცდება ანჩის მდებარეობაზედ. იგი მდებარეობს იქ კი არა, სადაც აღნიშნავს ვახუშტი, არამედ სოფ. სათლელის და არტანუჯის შუა, გზის განშორებით (იხ. Кавк. въ древ. помят. христ. დ. ბაქრაძის. იხ. გვ. 28).

უადგილო არ იქნება აქვე მოვიყვანოთ საქართველოს წინანდელი ეპარქიათა და საეპისკოპოზოთა სია, რომლიდგანაც დავინახავთ, რომ ანჩა შეადგენდა საკუთარს ეპარქიას. ესენი იყვნენ: 1, კათალიკოზი მცხეთისა და სრულიად საქართველოისა; 2, მთავარ-ეპისკოპოზი: სომხეთისა, მცხეთისა, ჭყონდიდისა, ბოდბისა; 3, ეპისკოპოზნი: მაწყვერისა, ქუმურდოსა, იშხანისა, ნინო წმინდისა, ანჩისა, ტბელისა, წყაროს-თავისა, განგისა, რუისთავისა, კაწარისა, მროველისა, ნიქოზისა, ბალაშქერტისა, ურელისა, ხარჭაშნისა, ბანისა, ჭერმისა, დმანისისა, წურწყმისა, ერუშნისა, წინწყაროსი, ურბნისისა, სამთავისისა, ბოლნისისა, ანისა, თბილისისა, წალკისა, დმანისისა, გიშელისა. შემდეგში კიდევ დაარსდნენ ეპარქიები: დანდარისა, მოქვისა, ბედიისა, ჭაიშისა, ჭელიშისა, მარტვილისა, ტყვაჩისა, იშხურიისა, ხობისა, სებასტოპოლისა, ანაკლიისა, ცაგერისა, შემოქმედისა, ჯუმათისა, ჯაჭვისა, ხონისა, ნიკორ-წმინდისა, გენათისა (გელათისა), ქუთაისისა, ნეკრესისა, და სხ. ყველა ეს ეპარქიანი არსებობდენ(?) მე-XVIII საუკ. დასაწყისამდისო, ამბობს პლ. იოსელიანი (Крат. истор. груз. церк. გვ. 38).

ძვირადა ჰყიდიან მცხოვრებლებზე. მაგ., თათრის მოედანში, სადაც ყველაზე უფრო ბევრი შემოდის ყველი, ვიდრე სხვა ადგილებში, დილიდამ მოკიდებული 100—200 კინტო გაჩარხული ელოდება ყველის მომტანს და ათასი მანქანების ხმარებით ცდილობს, რომ არ აყიდვინოს პირ-და-პირ მხმარებელს. სავაჭრო პოლიციას თითქმის ვერა გაუწყვიარა ამ კინტოებთან. ამიტომ, თბილისის გამგეობამ ერთი ჩაფარი გამოსთხოვა ბ. პოლიცმეისტერს, რომ იმის შემწეობით მცხოვრებლებსა შეეძლოთ მომტანებიდამ სყიდვა და საგძლის გაკეთება მომავლისთვის.

═ 16 აპრილისთვის დანიშნული კრება თბილისის საბჭოსი არ შესდგა ხმოსანთა კანონიერის რიცხვის მოუსვლელობით. ერთს ხმოსანზე ეკიდა ყრილობის ბედი. ისიც რომ მოსულიყო, კრება შესდგებოდა. საკვირველია ასეთი გულ-ამორეცხილი მოპყრობა ქალაქის ხმოსანთა საქალაქო ინტერესებთან. მით უმეტეს, რომ ამ ხელად ძალიან საინტერესო კითხვა ჰქონდა გასარჩევი ქალაქის თვით-მმართველობას «კონკის» პატრონებთან შესახებ ახალი პირობებისა.

მაგრამ რადგან ეს კითხვა ასეთი მნიშვნელობიანია ქალაქელების მისვლა-მოსვლის შესახებ, იმიტომ ზოგიერთა ხმოსნებმა მოიწადინეს, რომ გაემართათ კერძო მოლაპარაკება. საბჭომ მიიღო ეს წინადადება და ამიტომ გაიმართა კერძო ყრილობა, რაზედაც გარეშე პირს არ შეეძლო დასწრება და ამიტომ ჩვენც ვერ შეგვიძლიან გავუზიაროთ მკითხველებს ყრილობის შედეგი.

═ გაზეთს „ნორ-დარს“ ატყობინებენ, ვითომც მეფურნეთა ჰამქრის უსტაბაშს ელოს თითო ფურნეზე თვეში თითო მანათი, რითაც უნდა მოესყიდოს ვაჭრობის პოლიცია და პურზე მაღალი ტაქსა დაენიშნებინა ქალაქის გამგეობისათვის.

თუმცა ეს ხმა ძნელად არის დასაჯერებელი, რადგან პურის ფასი ამისთანა დროს, როდესაც მიწურულია შარშანდელი ჭირნახულის მოსავალი, თითქმის არაფრით არ განსხვავდება იმ ფასებს, რომელნიც იყვნენ წარსულს შემოდგომაზედ; მაგრამ ჩვენის აზრით არ იქნება მომეტებული, რომ ამ საქმეზედ დაინიშნოს სასტიკი გამოძიება: მართლა მეფურნეების უსტაბაში აგროვებდა ასეთს სამარცხვინო გადასახადს თუ არა? და თუ აგროვებდა, მართლა ამ ფულს იღებდენ სავაჭრო პოლიციის წარმომადგენელნი, თუ ეს ფული სხვა გზასა ჰპოულობდა.

„ს.-პეტერბურგის უწყებების“ სიტყვით მთავრობას გადაუწყვეტია ბათუმის პორტო ფრანკოს გადიდება იმ პირობით კი რომ ხარჯი ქალაქის გამგეობამ იკისროს. ეხლა ამ უკანასკნელზეა დამოკიდებული, გადიდდება წრე ბათუმის პორტო-ფრანკოსი, თუ არა.

## რ უ ს ე თ ი

რუსეთში ხშირია, რომ საუკეთესო ადგილებზედ მყოფ მოხელეებს ეჭიროთ თვალსაჩინო ადგილები კერძო საზოგადოებებშიაც. მაგ., ნავოსნობის კამპანიაში ჰქონდეს მონაწილეობა იმისთანა პირს, რომელსაც შეეძლოს თავის თანამდებობის წყალობით როგორც უნდა ისე ატრიალოს საქმე; ან რომელიმე გავლენიანმა პირმა ხელში მოიგდოს რკინის გზის აქციები და თავის ნებისად და სურვილისამებრ ატრიალოს ამ რკინის-გზის საქმეები. ამ გვარ უკანონო მოვლენისათვის მიუქცევიათ ყურადღება მმართებლობის წრეებში და აპირობენ თურმე თავიდამ აცილებას და იმისთანა კანონის გამოცემას, რომლის ძალითაც არ შეეძლოთ მაღალ თანამდებობის პირთა სხვა და სხვა კერძო საზოგადოებებში ადგილის დაჭერა. ეს არ აეკრძალებათ მცირე თანამდებობაში მყოფთ, რადგან მათ არ შეუძლიანთ არავითარი გავლენა იქონიონ საზოგადო საქმეებზედ და მცირე ჯამაგირთან სხვა კერძო საქმის შოვნა კი გაუადვილებთ ცხოვრებას.

ამას წინად გზათა სამინისტრომ გამოსცა განკარგულება, რომლის ძალითაც რკინის-გზებზედ მოსამსახურე პირნი უეჭველად რუსეთის ქვეშევრდომნი უნდა იყვნენ. ამ განკარგულების შემდეგ ბევრს უცხო-ქვეყნელებს, რომელნიც რკინის-გზებზე მსახურობდენ, რუსეთის ქვეშევრდომობა მიუღიათ.

ამერიკასა და ევროპის ქალაქებში დიდი ხანია, რაც ჩვენებურ ცხენის რკინის-გზებზე, ან რუსულად რომ ვსთქვათ „კონკაზედ“ ცხენის მაგიერად მუშაობს ან თოკი, ან ელექტრიული ძალა, ან ზოგან, ერთისა და მეორის მაგივრად, ორთქლი. ამ ზაფხულ პეტერბურგშიაც თურმე აპირობენ [illegible] ცხენების მაგიერად იქაურ საქალაქო რკინის-გზებზედ თოკი (კანატი) ამუშაონ. თუ ამ ცდამ კარგად ჩაიარა, ჰპირობენ კამპანია დაარსონ ამ საქმისათვის.

პეტერბურგის ქალებს კაი საქმე გამოუჩენიათ: მაისის დამდეგს რამდენიმე მათგანი თურმე აპირობს პეტერბურგიდამ მოსკოვში ცხენით მოსვლას, პეტერბურგს და მოსკოვს შუა 600 ვერსტია. ხუთს ქალს სურვილი კიდეც გამოუცხადებიათ და ერთი მათგანი თურმე ფრანცესაა. უნდათ ეს რიცხვი 25-მდე აიყვანონ. კავალკადას თან ეყოლება ეკიპაჟი და ბერეიტორები. რომელი ქალიც კი პირველი მივა მოსკოვში საჩუქარს მიიღებს.

---

გუჯარი ეკუთვნის 352 ქრონიკონს (1664 წ.). ამ გუჯრიდამ სჩანს, რომ თბილისის ვაჭარს ამირჯანს და მისთა ძეთა: ზურაბს, მელქუმს და დავით ევანგულიშვილთ მოუტანიათ კეისრის იმპერიიდამ, ესე იგი საბერძნეთიდამ, 10 ხატი: ანჩისა, მთავარ-ანგელოზისა, იოანე ღვთის-მეტყველისა, იოანე ნათლის-მცემლისა და სხ. ამ ხატების შესყიდვა მოუნდომნია კათალიკოზს დომენტის. მეფის შაჰ-ნაოზის მეჩარაფხანეთ ყველა ხატები დაუფასებიათ 1800 მარჩილად (ერთი მარჩილი=სამს აბაზს), ესე იგი 1080 მანეთად მაგრამ ევანგულიშვილებს დაუფასებიათ 2000 მარჩილად და მინამ კათალიკოზს ეს ფული არ მიუცია, იმათ ნაკლებად არ დაუთმიათ. 2000 მარჩილი რომ მიუღიათ, ევანგულიშვილებს მიუციათ წერილობითი პირობა, რომ იგინი მმართებლობის და მეფის წინაშე ვალდებულნი არიან პასუხი აგონ, უკეთუ ამ ხატებს პატრონი გამოუჩნდეს. ამ პირობის მოწამენი გამხდარან: თბილისის მოურავი მანუჩარ—მელიქ ევინალი, მამასახლისი ასლამაზი, ნაცვალი დათიკა. ოქმი დაუმტკიცებია მეფის მდივანს გიორგის.

ამ ნაირად ხელ-უქმნელი ხატი ანჩისა 1664 წელს უვარდება ხელში საქართველოს კათალიკოზს დომენტის*.) პირველს თავის სავანეს ხატმა დაჰყო (14—741 [illegible] 1664 წლამდე, ესე იგი, თითქმის 950 წ. ანჩიდამ გადმოტანილ იქმნა ხატი იმიტომ, რომ იქაური სამწყსო სულ მთლად გამაჰმადიანდა.

28 მაისს 1453 წელს მურად II-ს ძემ, მაჰმად II, შემოარტყა კოსტანტინოპოლს 200 გემი, 250,000 კაცი, და დაუშინა ზარბაზნები. ქალაქი აიღო, მოჰკლა უკანასკნელი იმპერატორი ბიზანტიისა — კოსტანტინე (ამას ცოლად ჰყვანდა ჩვენი მეფის გიორგი VIII ასული). ამ ნაირადა დაამხო ჯარის უფლება და მის ადგილას აღმართა ნახევარ—მთვარე (რელიგიური სიმბოლო მაჰმადიანთა).

ამას შემდეგ არ გაუვლია ბევრს ჟამს, რომ ოსმანნი გადმოდიან მცირე აზიაში და ამხობენ თამარ-მეფისაგან დაარსებულს (1204 წ.) ტრაპეზუნტის იმპერიას (1462 წ.). მთელი დასავლეთი საქართველო უვარდებათ ხელში ოსმანთა, რომელნიც ამაჰმათიანებენ ხალხსა, ამხობენ ტაძრებს და სდევნიან ქრისტიანეს. ამ ნაირად ქრისტიანთ ტაძრები, რომ იკეტებიან, თბილისის ვაჭრები ევანგულიშვილები იგდებენ ხელში ზემოხსენებულ ხატებს და თბილისს მოაქვთ.

ანჩის ხატის ისტორიის შესავსებლად არ შეგვიძლიან აქვე არ წავაკითხოთ წარსულის მოყვარეთ კიდევ ერთი წარწერაც, რომელიც მოქცეულია ყველა წარწერების ბოლოში.

„სახიერო და სამნათელო სამებაო და ერთარსებაო მამაო ძისაგან განუშორებელო და ძეო მამისათანა და სულისათანა ჰსწორო და სულო წმინდაო, ორთავე შორის ცხოვრებაო, ხილულთა და უხილავთა წამის-ყოფით მმაარსებელო და შემოქმედო, ჩვენ მსასოებელმან და სურვილით თქვენდა მონდობილმან ძმამან იოთან ამილახვარისამან გივმან და თანა მეცხედრემან ჩვენმან, ქართველთ მეფის შეჰნავაზის ასულმან თამარ, ძემან ჩვენმან ანდუყაფარ და დემეტრემ ოდეს ვიხილეთ ანჩის-ხატი ჟამთა ვითარებისაგან ქართლში ჩამოსვენებული, მოვიდა საქმე, რომ ბევრს ხანს ჩვენს ხალხში ესვენა და მისის საფარველითა და შემწეობითა მრავალს ძნელს ავათ-მყოფობასა და განსაცდელსა განვერენით და ვითაც კარები არა ჰქონდ ვიცოდიანეთ და კარები გავაჭედინეთ, და გავაკეთეთ, რათა შემწე გვეყოს ორთავე შინა ცხოვრებათა ძით და ასულით ჩვენით, გვეყვეს მადლი და ცვა-ფარვა თქვენი ჩვენზედა. გაკეთდა კა[illegible] ქ.ფ მეფობასა მეფედ მეფისასა გიორგისასა, ინდიკტიონსა მეფობისასა მეშვიდესა, ქორონიკონს ტოდ. ამისი ზარქარი დოლაძე ბერაუკა. ღმერთო შეუნდოლეს.“

გიორგი XI მეფობის დრო (1676—1688) იყო მეტად უბედური ქართველთათვის. დაყოფილი და განაწილებული საქართველო იწიწკნებოდა სპარსთაგან, ოსმალთაგან, შინაურ მეფემთავართაგან. ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფო ტახტზედ ზედი-ზედ ადიოდენ გამაჰმადიანებული მეფეები. გიორგი XI სიცოცხლეშივე ქართლის ტახტზე სპარსეთის შაჰმა აღიყვანა გამაამადიანებული ერეკლე I ანუ ნაზარ-ალი-ხანი, რომელმაც ვერ შესძლო განედევნა ქართლიდამ გიორგი XI, აღვიდა კახეთის ტახტზე და ბრძოლა კი არ შესწყვიტა ქართლის მეფესთან. გიორგი XI შაჰს უსეინის ბრძანებით საშინელის მირვეირისაგან ღალატით მოკლულ იქმნა ყანდაარში, 1709 წელს. ასეთი იყო „ჟამთა ვითარება“ იმ დროს, როდესაც თბილისიდგან გახიზნებული ანჩის-ხატი ბევრს ხანს ესვენა გივი ამილახვრის სახლში.

მოსე ჯანაშვილი

1 მარტი.
თბილისი.

---

*) პლატონ იოსელიანი მ. ბროსეს ეთანხმება, რომ ეს დომენტი არის მესამე და არა მეორე. დომენტი III არის ძე მეფის ლეონისა და ძმა ვახტანგ VI სჯულთ-მდებელისა. შეცდომით მოსვლიათ რომ ქორონიკონის უ-ს მაგიერ დაუსვამთ ქორონიკონი ტ. პ. ი. და ბროსეს არ შეიძლება არ დავერწმუნოთ, როდესაც მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ზემოთ მოყვანილ წარწერაში იხსენიება ვახტანგი მეექვსე თავის სახლობით და არა ვახტანგი მეხუთე, მაშასადამე წარწერას ტოგ მაგიერ უნდა უჯდეს ქორონიკონი უოგ (1715 წ.).

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთ სააგენტოსი“)

16 აპრილს.

**პეტერბურგი.** დღესაცით თეატრში საარადო წარმოდგენაა. ფოიეები ლისფერი აპერდით არიან მოკაზმულნი და ვენიერის მცენარეებით და ყვილებით მორთულნი. ველგან კი სანოვაგით დატვირთული ტოლები სდგანან. თეატრი მაღლი საზოგადოებით ავსეა. რდგენენ სურათს ბალეტიდამ „პიკალიონ“ და ერთს აქტს ოპერიდამ „როგნედა“

**კაირი.** ბერბერის გუბერნატორი ჩრდილოეთისკენ წავიდა ჯარით. ოთხი ბრიგადა ბაშიბუზუკებისა და 500 სალდათი აჯანყებულებისკენ გადავიდნენ. ბერბერსა და ხართუმს შუა მთელს მხარეს აჯანყება მოედვა.

**მადრიდი** გუშინ ბადახოსსა და სიუდად-რეალს შუა რკინის-გზაზედ მატარებელი მდინარეში ჩავარდა; ხიდზე შერჩა მხოლოდ ფოსტისა და ორი კიდევ სხვა ვაგონი. ხიდი, როგორც სჩანს, რევოლიუციონერებმა განგებ დააზიანეს.

17 აპრილს

**პეტერბურგი.** ხვალ საზამთრო სასახლეში მიულოცავენ ქორწინებას დიდს მთავარს კონსტ. კონსტ.-ძეს და მის მეუღლეს ელისაბედ მავრიკიის ასულს. მოვაჭრეების და მოქალაქეთა დეპუტაცია პურ-მარილს მიართმევს.

ვექილმა მილერმა შეიტანა კასაციაში კურქევის უბედურების დროს დაზიანებულთა მხრივ მოსკოვის სამოსამართლო პალატაზედ, რომელმაც უარჰყო ტულის ოლქის სასამართლოს განაჩენი. ამ უკანასკნელმა ინჟენერები იცნო დამნაშავედ და პასუხის-გებად დაზარალებულ პირთა წინაშე. საქმე სენატში გადაიტანება.

**მადრიდი.** ზორილიას პარტიამ არ მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, რის გამო მხოლოდ ექვსი რესპუბლიკელი ამოირჩიეს. კასტელარი ამოირჩიეს ხუესკარში.

**ბელგრადი.** ავსტრიის მემკვიდრე პრინცი აქ დიდის ყოფით მიიღეს. თუმცა დიდი წვიმა იყო, მაინც სამესიკო საზოგადოებათა გამართეს მაშხალებით სვლა და სერანადები.

# განცხადებანი




მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული **წამალს ნაოფლარისა**, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირათ ფეხის თითებს შუა,




## გალმანინი

(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაქის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში, მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფ ა რ მ ა ც ი ი ს მ ა გ ი ს ტ რ ი ს გ. კარპინსკის აფთიაქში ქ. კარშავაში, ელექტორალის ქუჩაზე, № 35,

დიდი კოროპკა გალმანინისა ვარშავაში 50 კაპ. ღირს, პატარა—30 კაპ.

უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ.

გ. კარპინსკი.

(10—7)

**ინგლისური რკინის პრავოტები**



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებით, ფადნოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაო, სვები, რიუმკები, გრაფინკები, ყაჯაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის სადგმეები, უნაგირები კაცისა და ქალისა. ალვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, სერსები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარადები, კასპიულები, ხავანგები, ნიჩბები, პატერპრუფები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეკტებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—98)

## ინგლისის მაღაზია

Maison de sonfianse

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2—,, | — 3 — ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, ქრაკოტები, ჭური, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები კალმები ქაღალდი, მოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები მაკნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ უკელაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—13)

სა გ ლ ო ბ უ ს ო  კ ა ლ მ ე ბ ი


რომლებიც შეიძლებს წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმებით ყოველის «ხელისათვის»—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმენდად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის კლიონკები. ტასტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, პატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ჩემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომადი, ქამრები, სარტყლები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები, თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაკები, საქმიო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

**ქატაუკი**—20 კ. (100—76)

ი ნ გ ლ ი ს ი ს მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

თ მ ი ს - ა მ ო მ უ ვ ა - ნ ი მ ა კ - მ ა ს ტ ე რ ი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მნ., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—17)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. ჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

**მაზანდა**

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 აპრილიდამ 1 მაისამდე 1884 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— —1 გირ. 5 კ.

აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— —1 გ. 3 კ.

მეორისა— — —1 გ. $2^1/_2$

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველი ხარისხის —1 გ. 5 კ.

მეორისა— — —1 გ. $3^1/_2$

მესამისა— — —1 გ. 3 კ.

ჭვავის-მამი პური:

პირველი ხარის. ლავაში 1 გ. 5 კ.

მეორის ხარის. ლავაში 1 გ. 4 კ.

მესამისა — — —1 გ. $3^1/_2$

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის —1 გ. 9 კ.

მეორის — — —1 გ. 8 კ.

სუკი . . . —1 გ. 16 კ.

ცხვრის ხორცი —1 გ. 11 კ.

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხის —1 გ. — კ.

მეორის — — —1 გ. — კ.

**რკინის გზა**

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილისა.
(საშუაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
4 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილისა
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

Доз. ценз. Тифлисъ, 17 Апрѣля 1884 г. სტამბა არ. კალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.